სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №215

ქ.ქუთაისი 11 აპრილი 2012 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლის შესაბამისად.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქის მერის მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ანდღულაძის სახით. (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი–ქალაქის მერის გიორგი თევდორაძის წერილი №01-2431 05.04.2012წ. მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-54-54).

მეორეს მხრივ, შ.პ.ს „კამარა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ირაკლი დახუნდარიძის სახით, (მისამართი: ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის გამზ. №103 ტელ: (598) 35 75 85)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის –მდებარე წერეთლის ქ. №167–ში ფასადის მოსაწესრიგებლად საღებავების სახელმწიფო შესყიდვა. (დანართი თან ერთვის).

1.2. კლასიფიკატორის კოდი – 44800000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2845 (ორიათასრვაასორმოცდახუთი) ლარი

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3. სტანდარტები

3.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მოაწოდებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საქონელს დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ საქონლის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეცვლა;

4.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან;

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახური.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების დადებიდან 2012 წლის 27 აპრილამდე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური გაფორმების შემდეგ;

6.2 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება და რაოდენობა;

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშწორება და ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად საქონლის მიწოდების მოცულობა და ღირებულება,

ბ) მიწოდებული საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ–ს ანგარიშფაქტურა.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა)

7.3 ანგარიშსწორების ვადაა ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

7.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
– უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
10.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია:
– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 1000 (ათასი) ლარს;
11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს;
11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მისაწოდებელი საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;
11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;
12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
14.2 თუ ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 27 აპრილამდე.
16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქალაქ ქუთაისის მერია	შ.პ.ს ,,კამარა"
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3	მის: ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის ქ. №103
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ს.ს ბანკი „რესპუბლიკა"
ქუთაისი ფილიალი	ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22	ბ/კოდი: 220101770
ა/ა № 33033303	ა/ა ge 67br000010576459300
ს/კოდი: 212721170	ს/კ 212707374
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე	შ.პ.ს. ,,კამარა"
მერის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
----------	----------
დავით ანდღულაძე	ირაკლი დახუნდარიძე